

1. გადაიყვანეთ SI სისტემაში

$$36 \text{ კმ/სთ} = \dots\dots\dots$$

$$72 \text{ კმ/სთ} = \dots\dots\dots$$

$$15 \text{ კმ/წმ} = \dots\dots\dots$$

$$54 \text{ კმ/წთ} = \dots\dots\dots$$

2. ორი სხეულის სიჩქარის გეგმილის დროზე დამოკიდებულების ფორმულებს აქვს სახე: $V_{1x}=2+3t$, $V_{2x}=5-2t$. განსაზღვრეთ თითოეული სხეულის საწყისი სიჩქარე და აჩქარება. დროის რა მომენტშია ტოლი სხეულების სიჩქარის გეგმილები?

3. რა სიმაღლემდე მიაღწევს 15 მ/წმ სიჩქარით ვერტიკალურად ასროლილი სხეული?

4. შეადარეთ ერთმანეთს 5 და 10 კგ მასის სხეულებზე მოქმედი სიმძიმის ძალების მოდულები.

5. განსაზღვრეთ 0,5 კგ მასის სხეულის იმპულსი, თუ მისი სიჩქარის მოდული 3 მ/წმ-ია.

6. 2 ტ მასის ტვირთი ამწეს თანაბრად ააქვს 15 მ სიმაღლეზე. გამოთვალეთ სიმძიმის ძალის მუშაობა ამ დროს.

7. რას უდრის 150კგ. მასის სხეულის პოტენციური ენერგია 4 მ სიმაღლეზე?

8. 50 კგ მასის სხეული 2მ/წმ სიჩქარით მოძრაობს. გამოთვალეთ მისი კინეტიკური ენერგია.



9. ავტომობილის წვეის ძალა 1000^ნ-ია.რა მუშაობას ასრულებს ეს ძალა 1800 წამში, თუ ავტომობილი მოძრაობს 20 მ/წმ სიჩქარით.
10. სხივი ზედაპირთან ადგენს 30⁰ -იან კუთხეს, განსაზღვრეთ არეკვლის კუთხე.

